№ 212
კვირა, 3 ოქტომბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 212
კვირა, 3 ოქტომბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით
გაიხსნა ქალაქ ფოთში

## „საბუხგალტერო კურსები"

**კურსებზედ მიიღებიან ორივე სქესისანი, არა ნაკლებ 16 წლისა. სწავლა ერთის წლითა და ორის თვით იქმნება და ეღირება ასი მანეთი.**

სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდგან.

**კურსებზედ ასწავლიან:**

1) საკომერციო არითმეტიკას შინა და გარე ვაჭრობისას; 2) ბუხგალტერიას მარტივს, ორკეცს და ამერიკულ სისტემისას; 3) საკომერციო ეკონომიას; 4) სავაჭრო და საველსილო წესდებულებას; 5) საკომერციო კორესპონდენციას; 6) სუფთა წერას და გაკრულ ხელს.

**პროგრამმასა და დაწვრილებით პირობებს გავუგზავნით პირველ მოთხოვნისათანავე.**

(10—2)

კურსების გამგე კ. მ. გიგინეიშვილი

## ქ. ქუთაისში
## ექიმი გაბრ. იოს.
## ზოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20.
(40—140—13)

## ქ. ქუთაისში
## კბილის ექიმი
## სალომე ი. კერესელიძე

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. ხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—7)

ტფილისის ხელოსანთა ამხანაგობა

## „შ რ ო მ ა"

მადათოვის კუნძულზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. სახელოსნოს აქვს დამზადებული სახლის სხვა-და-სხვა მოწყობილებანი და ავეჯეულობა. სახელოსნო ზომიერ ფასად კისრულობს სხვა-და-სხვა ავეჯის და კარ-ფანჯრების გაკეთებას.
(6—144—6)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. **ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. **მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

დ. კ. **ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

ნ. ტ. **მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

ა. ნ. **შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

იაგ. ქ. **ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

ნ. ზ. **უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

ი. დ. **ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

მ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

კ. ი. **გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

ვ. მ. **მახვილაძე**—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.

**საღამოთი:**

დ. ა. **გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ი. **ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. **ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. **ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. **პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. **კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. **გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

ი. ფ. **პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

ა. ნ. **შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. **ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

ტ. ი. **რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს ⁊ სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. **არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

კვირას, 3 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## „შუამავალი"-ს

ამხანაგობის საგანგებო საზოგადო კრების განგრძობა.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებარ ცალკე მოწვევის ბარათები.

(2—6.—2)

## ფელეტონი

### ჩვენის თეატრის თავ-გადასავალი

(ჩემი ნახსოვნი)

(შემდეგი *)

სურათი ჩვენი თეატრის ცხოვრესა საზოგადოდ 1869 წელს შეიძლებოდა ასე გამოგვესახა: ფხიზლდება [illegible]რედი წრე სცენის მოყვარეთა; [illegible]აზოგადოება-კი გულ-გრილად უყურებს მათ მეცადინეობას; მოხშირეთ სცენის მოყვარეთაც ვერ მოუ[illegible]რხებიათ სახალხოდ წარმოდგენები [illegible]მართონ, რადგან ნაკლებნი არიან [illegible]სცენაზე გამოსვლის შნოს მქონებელ[illegible]ნი; სცენის მოყვარეთა წრეში მონაწილე ქალები ვერ ჰბედვენ სცენაზე გამოსვლას; რეპერტუარი მეტად ღარიბია და დაძველებულია; წარმოდგენის გასამართავად არაფერი შესაფერი სცენა არ იშოვება სახელმწიფო თეატრს გარდა, რომლის დაქირავება ძვირად ღირს. არავინ შეძლებულიც არ იპოვება ჩვენს საზოგადოებაში, რომ მეცენატობა გაუწიოს. ყველაზე უმეტესად შესამჩნევი ის გარემოებაა, რომ ქართულ თეატრს არა ჰყავს პუბლიკა, რომელიც ყოველთვის და ყველგან მისი სულის ჩამდგმელია.

ხშირად გავიგონებთ, ქართულ თეატრს საზოგადოება იმის გამო არა ჰყავს ტფილისში, რომ შუა წოდება ქართველობისა, ესე იგი მოვაჭრეთა, არა გვყავსო. საზოგადოდ ეს მართალია, მაგრამ ქართველობა ხომ მაინც საკმაოა, რომ ერთის სცენის შენახვა შეეძლოს. აქ ის გარემოებაა მიზეზი, რომ ეს ნაწილი ქალაქში მცხოვრებთა სულიერის მოთხოვნილებით დაბლა საფეხურზე დგას. იმისი სულიერი მოთხოვნილება ჯერ მაღლა არ ასულა იმ საფეხურამდე, სადაც უფრო ადამიანის შესაფერი გემოვნება მოითხოვს მეტს სულიერ კმაყოფილებას, ვიდრე პირუტყვული ინსტინქტები. მომატებული ნაწილის ლხინი და სიტკბოება იმაშია, რომ ბევრი ილოთოს ღვინით, ილოთოს ჭამითა და ილოთოს ქალების დევნით. ეს არის და ეს მრთელი ავლადიდება ჩვენებურის სიამოვნებისა და ლხინისა. ეს გემოვნების მოუმწიფრობა იყო (და დღესაც არის) მიზეზი, რომ არა ჰყავდა სცენას პუბლიკა.

ეს გარემოება მეტად საგრძნობელი შეიქნა 1869 წლამდე თეატრის მოყვარეთათვის და ეს იყო მიზეზი, რომ დაფიქრა ისინი. საჭირო იყო ამისთვის ღონის გამოძებნა და გამოძებნილ იქმნა ერთი საშუალება.

1869 წ. ზაფხულს კერძო შინაური წარმოდგენების გამართვა შემოვიდა სახლებში იმ გვარად, როგორც მოსწავლე ყმაწვილები ჰმართავენ ხოლმე. მცნობის სახლში ხელად ფარდა კეთდებოდა, ტახტები იდგმებოდა სცენად და მსუბუქი პიესის როლებს ირიგებდნენ თავიანთში ახლო მცნობი ქალები და ვაჟები; საზოგადოებად ახლო მცნობებს იწვევდნენ, გასანათებლად თავიანთშივე თითო აბაზს იღებდნენ. წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა ტანცაობა, ლეკურის ცეკვა, რომელსაც ხმელი ხილი და კამფეტი მოჰყვებოდა. რაკი ერთმანეთის ნაცნობნი იყვნენ მოთამაშენიც და მაყურებელნიც, ამისთანა საღამოები სასიამოვნო დროს გასატარებელი გახდა. განსვენებული სერგეი მესხი (რედაქტორი „დროებისა"), ნიკოლოზ ავალიშვილი (რედ. „მნათობისა") და ამ სტრიქონების დამწერი ამ საღამოებმა წაგვახალისა და ხელი მოვკიდეთ. ოჯახის ქალები, სახალხო წარმოდგენებში გამოსვლის მოშიშრები, ამ შინაურ თამაშობაში ხალისით, მოურიდებლად მონაწილეობას იღებდნენ. პირველ ამ გვართაგანი იყვნენ ბარბარე ხერხეულიძის ასული (შემდეგ ავალოვის მეუღლე), ელენე ანტონოვსკისა და ვახტანგ გურამიშვილის ასული ანნა. მერმე და მერმე სხვები ემატებოდნენ: ელენე ყიფიანი, ოლგა და ელისაბედ ყაზბეგები და კიდევ სხვანი, რომელთაც გვარები არ მახსოვს. ამ შინაურმა წარმოდგენებმა ისე ფეხი მოიკიდა, რომ შეუჩერებლად იმართებოდა 1872 წლამდე. ამისთვის ნაცნობების საშუალებით მოზდილ დარბაზებს ვშოულობდით, რასაკვირველია უფასოდ. მახსოვს დარბაზი ყაზაროვების სახლისა კუკიაში, ფეოდოროვისა (იმ ადგილს, საცა ეხლა სახელმწიფო თეატრია), რევაზ ანდრონიკაშვილისა. მოთამაშენიც და მაყურებელი საზოგადოებაც შესდგებოდა ტფილისში მცხოვრებ მოხელეთა და თავად-აზნაურთა მეოჯახეთაგან. ისინი ახლოვდებოდნენ ერთმანერთს და ამ გვარად ამ შინაურ ქართულ სცენის გარშემო შემაგრდა პატარა წრე სცენის საქმის მოინტერესეთა. ეს პატარა წრე თან-და-თან ფართოვდებოდა ისე, რომ ბოლოს შესაძლო შეიქნა საზოგადო წარმოდგენების გამართვაცა, რომელშიაც გამოსვლა გაბედეს ოჯახის ქალებმაცა. მოთამაშე ქალები და ვაჟები შეეჩვივნენ სცენას შინაურ წარმოდგენებში, სახალხოდ გამოსვლა და სცენაზე ტრიალი; რეპეტიციები, ისე დროს ბევრს არ აკარგვინებდა, როგორც წინად. ამ რეპეტიციებისთვის იკრიბებოდნენ ხშირად ბაბო ხერხეულიძისას, რომელიც იდგა პაპისეულ, ერეკლე მეფის მდივნის ომანის აშენებულ, სახლში, ანჩისხატის ეკლესიის ახლოს. მეც იმ სახლში ვიდექი და მოწამე ვარ, რამოდენა დრო და შრომა უნდებოდა ამ ახალგაზდა ქალს. ის სრულებით თეატრის საქმეს მიეცა და მთელი სიცოცხლის საგნად გაუხდა. მის სახლში რამდენისამე წლის განმავლობაში იყრებოდნენ სცენის მოყვარენი, ლაპარაკობდნენ თეატრის საქმეებზე და წარმოდგენების გამართვაზე. ახალგაზდა ქალი გულმხურვალედ მონაწილეობას იღებდა და ტოლ ქალებს აქეზებდა სცენის ზრუნვისათვის. მასთან იმავე დროს იყო წამქეზებელი ელენე ყიფიანი. ისინი ორნივე აქეზებდნენ, ახალისებდნენ და თითქმის წინამძღვრობდნენ სხვა ქალებს და თვით ვაჟებსაც.

ამ ორთაგან არც ერთს არა ჰქონდა სცენისათვის საჩინო თვისება, მაგრამ მათი მხურვალე მონაწილეობა, როგორც ოჯახის ქალებისა, ძვირფასი ნაბიჯის გადადგმა იყო ჩვენთვის, ჩვენის გაბრუებულ საზოგადოებისათვის. ეხლა, რაკი ოჯახის ქალებიც მონაწილეობას იღებდნენ და საკმაო-

*) იხ. „ივერია". № 210.

ქ. ტფილისში

ექიმი ნიკო თომას ძე

ერისთავი

სწამლობს შინაგანისა & ნერვებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 11-დგან $12^{1}/_{2}$ საათამდე, საღამოს 7-დგან 8 საათამდე. მადერის ქუჩა, მამულოვის სახლი. (10—145—9)

# ახალი ამბავი

⁂ 4 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს მოხსენდება ქალაქის მოურავის განცხადება ქალაქის იმ შუამდგომლობის შესახებ, რომელიც შეეხება ტფილისში საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას. ამავე დღეს ქალაქის საბჭო განიხილავს, სხვათა შორის, შემდეგს საქმეებს: ქალაქის გამგეობის მოხსენებას ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ; გამგეობის მოხსენებას პოლიციის შესანახ ხარჯისაგან ქალაქის განთავისუფლების შესახებ; ქალაქის დამფასებელთა თხოვნას დაფასების სასყიდლის ძველებური წეს-რიგის განახლების შესახებ; გამგეობის დარაჯად ნამყოფის ჩიქოვანის ქვრივის თხოვნას შემწეობის დანიშვნის შესახებ; სულით ავადმყოფთა თავშესაფართა შენახვის წესების პროექტს; ქალაქის ღამის-სათევ თავშესაფართა შენახვის წესების პროექტს; ქალაქის გამგეობის დადგენილებას ძაღლებზედ გარდასახადის დაწესების შესახებ და სხ..

⁂ ტფილისში ჩამოვიდა ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის სამოსწავლო ნაწილის ოლქის ინსპექტორი დ. ს. ს. დ. დ. მორევი.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობაში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედების საქმის გამოძიება, როგორც ისმის, დამთავრდება არა უადრეს ნოემბრისა.

⁂ გუშინ წინ, 1 ოქტომბერს, სვეტი-ცხოვლის დღესასწაულის დღეს, მეტად ცუდი ამინდი იყო, მთელი დღე სწვიმდა, რის გამო მცხეთაში ცოტა ხალხი წავიდა ბრწყინვალე დღესასწაულზედ დასასწრებლად.

⁂ ქ. ტფილისის იმ შუამდგომლობაზედ, რომ ნება-დართულ იქნას ტფილისში ქალაქის ხარჯით მ. ი. უ. დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ სასწავლებლის დაარსება, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა 30 სექტემბერს უპასუხა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ასეთ სასწავლებელთა დაარსების წესები ნაჩვენებია 1893 წელს გამოცემულ კანონში, ხოლო ამიერ-კავკასიის საქალაქო სასწავლებელთა შტატი უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა 1874 წ. 3 დეკემბერს, რომლის ძალითაც ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებლის შესანახად საჭირო წლიწადში სულ მცირე—4,595 მან., სადგომის ქირის ჩაუთვლელად. რადგან საშტატო ფული ვერ აკმაყოფილებს სასწავლებლის მრავალ საჭიროებას, ამის გამო სამოსწავლო ოლქის მზრუნველი სასურველადა სცნობს, რომ სასწავლებლის შესანახად 4,595 მანეთის ნაცვლად გადასდოს 7,175 მან. გარდა სადგომის ქირისა, რომელიც უდრის 1,500 მანეთიდგან 2,000 მანეთამდე წლიწადში.

⁂ გასულ ზაფხულში ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ სოფლების ყანებში გაჩნდა პურის ჭია, რომელსაც 4,000-მდე დესეტინა პური გაუნადგურებია, რითაც შესამჩნევად დაზარალებულან მცხოვრებნი, რომელთაც საკვების უქონლობის გამო განსაცდელი თურმე მოელით. ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები მოუთხოვნია იმის შესახებ, თუ რამდენად მართალია ეს ამბავი, რამდენია ზარალი, და იხმარეს თუ არა რაიმე ღონისძიებანი პურის ჭიის გასაწყვეტად.

⁂ ახალციხის ქალაქის მამასახლისმა წარმოუდგინა ტფილისის გუბერნატორს ახალციხის ქალაქის რწმუნებულთა კრების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მოიშალოს მდ. ფოცხოვის საგუბარი, რომელიც მევენახეთ გაუკეთებიათ ქალაქის საყასბოს ქვემოდგან და რომლის მეოხებითაც მდინარე დამდორებულია, რის გამო საყასბოდგან მდინარეში გადაყრილი საგნები წყალს ველარ მიაქვს.

⁂ „ახ. მიმ.“-ს აუწყებენ, რომ ამ მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა საერო განათლების მინისტრი ტ. ს. ბოგოლეპოვი, რომელიც ამ ჟამად ყირიმში იმყოფება.

⁂ 30 სექტემბერს „ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების“ წარმომადგენელმა ბ-ნმა რობიმ ოლქის სასამართლოში ქალაქზედ საჩივარი შეიტანა. რობი საჩივარში აცხადებს, რომ უსახელო საზოგადოებას კონცესია თავისად მიაჩნია კიდევ 20 წლის განმავლობაში, და ამიტომ თხოულობს, რომ ოლქის სასამართლომ უკანონოდ სცნოს ტფილისის ქალაქის გამგეობის-მიერ გაზეთებში დაბეჭდილი განცხადება კონცესიის აღების მსურველთა კონკურსის შესახებ და შეაჩეროს საჯარო ვაჭრობა.

⁂ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარა ტფილისის გუბერნატორის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ დუშეთის მაზრის სოფ. ბაზალეთის მცხოვრებთ ნება მიეცეთ ნაწილ-ნაწილად გარდაიხადონ მათზედ დარჩენილი ძველი და აგრეთვე წლევანდელი სახელმწიფო გარდასახადები.

⁂ რადგან ტფილისის მიხეილის რკინის გზის სასწავლებლის გამგეობამ პირადად გზათა მინისტრს ხილკოვს ვერ წარუდგინა სასწავლებლის გაფართოების პროექტი, ამის გამო გზათა სამინისტროში გაჰგზავნა იგი.

⁂ მევენახეობის გასაძლიერებლად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული, რომ ამერიკულ ვაზის მოვლა-მოშენების გარდა, დაარსებულ იქმნას მევენახეობის კურსები ვენახის მუშათათვის და აგრეთვე ვაზის დამყნის კურსები.

⁂ ტფილისის ხელოსანთა მოურავმა დასამტკიცებლად წარუდგინა საგუბერნიო მთავრობას ტფილისის დურქალთა ამხანაგობის „შრომის“ წესდება. ეს ამხანაგობა არსდება ტფილისში იმ აზრით, რომ ღარიბ დურგლებს შეერთებულ ძალით შეეძლოთ თვითონვე აიღონ სამუშაო და გაასაღონ თავიანთი ნაწარმოები, შუამავალთა დაუხმარებლად. ამხანაგობა, წესდების დამტკიცების შემდეგ, გააღებს საკუთარს სახელოსნოს და საკუთარ ნაწარმოებთა მაღაზიას.

⁂ საერო სასწავლებელთა დირექტორმა ბ-ნმა დმიტრიევმა შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ მან ნება დართო დაარსეს ტფილისში სამი პირველ-დაწყებითი სკოლა. ამასთან დირექტორმა წინადადება მისცა მოურავს, წარმომიდგინეთ საბჭოს დადგენილება ახალ საქალაქო სასწავლებელთა დასაარსებლად შუამდგომლობის აღძვრის შესახებაო.

⁂ 30 სექტემბერს, ღამის 9 საათსა და 35 წ., მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი ტფილისიდგან ბაქოს გაემგზავრა.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას ხელ-მეორედ აღუძრავს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გადაიდოს ფული ტფილისში ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის საზოგადო ბინების გასამართავად.

⁂ როგორც წინადაც გვქონდა გამოცხადებული, ამ წლის დეკემბრის თვეში მოსკოვს მოხდება სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრება. კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებამაც მიიღო მოსკოვიდამ პროგრამა მომავალ კრებისა. ამის გამო 17 სექტემბერს კავკასიის ფარმაცევტებს კრება ჰქონდათ, რომელზედაც მოისმინეს კომისიის მიერ შემუშავებული მოხსენება, შედგენილი ზემოხსენებული პროგრამის თანახმად. მოხსენების კითხვის დროს ცხარე კამათი გამოიწვია უფრო შემდეგ საგნებმა: 1) გაუმჯობესებულ იქმნას ფარმაცევტთა მდგომარეობა, ე. ი. 12-ისსაათის შრომის ნაცვლად შემოღებულ იქმნას 8 საათის შრომა დღეში, 2, მოისპოს ფარმაცევტთა პანსიონი აფთიაქებთან. ფარმაცევტნი თხოულობენ, რომ სახლის ქირისა და საჭმელსასმელის ნაცვლად მათ ფული ეძლეოდეთ ხოლმე. 3) სოფლებში აფთიაქების დაარსების და გამგეობის უფლება ჰქონდეთ მხოლოდ პროვიზორებს და არა აფთიაქრების თანაშემწეთ, როგორიც ამ ჟამად არის და სხვ. დასასრულ, კრებამ გადასწყვიტა, ახლავ ამოირჩიოს კენჭისყრით თავისი დელეგატი მოსკოვში სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრებაზე დასასწრებლად. კრებამ თითქმის ერთ-ხმად (22 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ) აირჩია პროვიზორი ილია ალხაზიშვილი.

⁂ თიანეთის მაზრა. დადგა შემოდგომა და ქისტებმაც დაიწყეს შინაური საქონლის ტაცება; მაგრამ იაფად არ უჯდებათ ეს ხელობა: აქაური ხალხი ერთობ სდევნის ქურდებს, ამას წინად ქურდებმა თუშ[illegible]თიდგან დაიტაცეს ცხრა ცხენი; თუმცა თუშები მაშინვე გამოუდგნენ

---

ჯგუფი შესდგა სცენის გარშემო, წარმოდგენები შეუწყვეტლად იმართებოდა, ვიდრე ის გადიქცეოდა სამუდამო საჭიროებად. მე მოწადინებული არა ვარ დაწვრილებით მოვყვე მოყვარეთა წარმოდგენების ამბავსა. ვიტყვი მხოლოდ, რომ იმ დროს გამოჩნდნენ ზოგიერთი ეხლანდელი არტისტები—ვასილი აბაშიძე, კონსტანტინე ყიფიანი და ქალებისაგან საფაროვისა და გაბუნია. მათ გამოჩენამდე კარგა ეხმარებოდნენ ქალები: ელენე ანტონოვსკისა, ოლგა და ელისაბედ ყაზბეგისა. ვაჟებში: ნ. ავალიშვილი, იოს. ბაქრაძე, განსვენებული ნიკ. შიშნიაშვილი და სხვანი, რომელთა მონაწილეობა მოხსენებულია იმ დროს გაზეთ „დროებაში“.

წარმოდგენებს გარდა იმართებოდა სალიტერატურო საღამოები, რომელთაგან ორი შესანიშნავი იყო. მათში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი მწერლები: ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი. განსვენებულმა დიმიტრი ყიფიანმა წაიკითხა ვეფხვის ტყაოსნიდამ ერთი ნაწყვეტი (ქაჯეთის ციხეზე მისვლის თათბირი), დავით ერისთავმა—ვახტ. ორბელიანის ლექსი „იმედი“. საზოგადოდ დაიწყო მოძრაობა, რომელშიაც ქართველი მწერლები და ინტელიგენცია მონაწილეობას იღებდა. ეს ერთიანად მოყვარეთა წარმოდგენები და საღამოები, ქველ-მოქმედების აზრით გამართულები, წინამორბედობა იყო მუდმივის სცენისა.

უნდა მოვიხსენოთ, რომ რეპერტუარის შესამჩნევ სიღარიბეს ქუთაისმა კარგი შემწეობა მისცა. 1870 წლებში იქაც იმართებოდა მოყვარულთა წარმოდგენები და ამისთვის იქაურები სთარგმნიდნენ პიესებსა. იმავე დროს იქ იწვრთებოდნენ არტისტები ვ. აბაშიძე და კ. მესხი. ქუთაისის სცენის ამბავი სულ არ ვიცი და მეტს ვერაფერს ვიტყვი. ეს შემიძლია ვთქვა, რომ წარმოდგენები იქაც მოხშირებით არ იმართებოდა, როგორც გამიგონია. მაინც რაც უნდა იყოს, იქაური ნაშრომი სცენისათვის გამოსადეგი ხდებოდა, თუმცა კი მართალი უნდა ვთქვათ, რომ რეპერტუარი მაინც და მაინც ღარიბი იყო და ამის გამო უფრო ძველი პიესები სჭარბობდა ახალ ნათარგმნებსა. ახალი პიესები მთლად სულ თარგმანი იყო მცირეოდნის შეცვლით და ამათი რიცხვიც ცოტა იყო.

ბევრი რამ ზოგი უცნაური და ზოგი შეუფერებელი ხდებოდა თითოეულ წარმოდგენის მზადების დროს და მის შემდეგ. ყრილობაში დიდი ბაასი მოხდებოდა ხოლმე ან პიესის ამორჩევისა, ან მის დადგმის შესახებ. როლების ჩამორიგებაში სადავო არა ხდებოდა რა, როგორც მუდმივ დასში ასტყდება ხოლმე, როლებს ინაწილებდნენ უბაასოდ. მაგრამ პიესების ამორჩევა-დადგმაზე, ან წარმოდგენის საგანსა და მის შემოსავლის საქველმოქმედო განაწილებაზედ დიდი გრძელი ბაასი იმართებოდა ხოლმე, როგორც ჩვენში ჩვეულებაა გაუთავებელის ლაპარაკისა. ყოველ საქმის გაკეთებაში ლაპარაკს უმეტესი დრო უჭირავს ვიდრე საქმის ასრულებას. ერთი გაგონილი ამბავი მაგონდება. ვიღაც ევროპიელ მოგზაურს, საქართველოში მოსულს, ცხენი დასჭირდა, ცხენის პატრონი და იმისი მოყენე ორ-სამ საათს ლაპარაკობდნენ დაქირავებაზე. ევროპიელმა სამგზავრო წიგნში ჩაიწერა: „ისე არაფერი მსურვებია ამ წამს, რომ ენა მცოდნოდა და გამეგო, ამ ორ-სამ საათის განმავლობაში რა უნდა ელაპარაკნათ ცხენის დაქირავებაზეო“. სწორედ ამის მსგავსი ამბავი ხდება ყოველ ჩვენ საქმეებში. იმ ხანს, ესე იგი 1869—1879 წლებში თეატრის საქმესაც ბევრი ლაპარაკი უნდებოდა.

რასაკვირველია, ეს სულ გამოუცდელობის და პრაქტიკული ცხოვრების უცოდინარობის მიზეზია. ისე ენა მჭარტლი და მრავალ სიტყვაობის მოყვარე მცოდნე და პრაქტიკი არას დროს არ იქნება, როგორც უმეცარი მოფილოსოფე. იმ ხანებში დიდი ლაპარაკი იყო, სხვათა შორის, თეატრის შენობის უქონლობაზე. მთელი საღამოები და კრებები იმართებოდა ამის შესახებ და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ თეატრის ასაშენებლად საჭიროა არც მეტი და არც ნაკლები, სულ 200 ათასი მანეთი, 20 ათასი თუმანიო.

ჩვენებური კაცის ჯიბეში მართალია ერთი მანეთი ათასის მანათისას ყვირის, მაგრამ ეს 200 ათასი მანეთი ძალიან დიდი მიუწდომელი ზაჰრუმარი გამოჩნდა.

— საიდამ მოვაგროვოთ მაგოდენა უზარმაზარი ფულიო? ყველამ იფიქრა.

ბევრი განსჯის შემდეგ ერთ-ხმად გადასწყვიტეს, რომ მოყვარეთა წარმოდგენებიდამ შემოსავალი შევინახოთ და ნელნელა ვაგროვოთო. რასაკვირველია ნემეცური ხასიათის მქონებელი ხალხი ამას შეიძლებს, მაგრამ ჩვენისთანა ხალხი, რომელმაც არითმეტიკის პირველი კანონი (შეერთებისა) არ იცის და მარტო მეორე კანონი (კლებისა) აქვს კარგა შეთვისებული, რა თანხას შეადგენდა? ცოტაოდე, ასე ოციოდე თუმანი რაღაც, ამ წარმოდგენებიდამ სათეატრო საქმისთვის გადადებულიც, არ იცოდნენ როგორ შეენახათ და მოევლოთ. ხან ერთს აბარებდნენ და ხან მეორეს ფულს, რომელიც ბევრ ამის მცოდნეს სდერდელს უშლიდა „მასესხეთო.“

ჩვენებური „მასესხე“ ხომ ყველამ იცის, რაც არის. ეს შესაძლებელი კიდევ კერძო შინაურ მცნობების ურთიერთობაში. მაგრამ საზოგადო ფულზე „მასესხეობა“ რომ აქ გამოჩენილიყო ჩვენდა შესარცხვენად, ამას არ ვიფიქრებდით, თუ ვინმე იკადრებდა. ნისია ბილეთების ფული რომ იკარგებოდა, იმას აღარავინ დასდევდა. თეატრის კასსას ხან ვის აბარებდნენ და ხან ვის. იქიდამ [illegible]ბული ფული რჩებოდა თვალ დასანახავად და მარტო ეს ფული ეძლეოდა რომელსამე საქველმოქმედო დაწესებულებას. შემთხვევაც კი ყოფილა, რომ ფულის მაძებარს ხელში ჩაეგდოს კასსა. ერთი ამბავი მახსოვს ამგვარი. თეატრის სასარგებლო ერთის წარმოდგენის შემდეგ კასსის ფული ერთ კაცს ჩაუვარდა, რომელსაც „მასესხეობის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი. საკვირველი იყო, როგორ მოხდა, რომ კასსის ჩაბარება იმას მიანდეს? სამწუხაროდ ინტელიგენციაში დღესაც ხშირად ვხედავთ იმისთანებს, რომელნიც ზოგადო საქმეებში ერევიან, ყველ

მაგრამ ვერ დაეწივნენ და ცხენები გადარეკეს ქისტეთისკენ. ეხლა კიდევ, 26 სექტემბერს, მზის ამოსვლისას, ლიშოელ ფშაველს ლიჯურა აბალაშვილს, როდესაც ცხენებს ეძებდა, შეენიშნა ტყეში დამალული სამი ქისტი და იქვე ახლოს დაბმული ცხენები, ქისტებს ჯერ მოკვლა დაემუქრებინათ ამ ფშავლისა, მერე თავისთან მიეყვანათ და ეთქვათ,—საღამომდე ჩვენთან უნდა იყოვო და საღამოზედ-კი უნდა გამოგვყვე და გზა გვასწავლოვო. ასე ყოლოდათ დაჭერილი შუადღემდე, ხოლო შუადღისას, როდესაც ტყეში მწყემსების ხმაურობა ატეხილიყო, ქისტები შეშინებულიყვნენ და გაქცეულიყვნენ. ფშაველს ლიჯურა აბალაშვილს მაშინვე ეცნობებინა ყველაფერი იქვე ტყეში ხევსურებისთვის, რომლებიც გამოსდგომოდნენ ქისტებს და ცოტა ხნის განმავლობაში ცხენები დაეტოვებინებინათ; ქისტებს-კი მოესწროთ გაქცევა. მაგრამ მეორე დღეს შუათფხოს საზოგადოებაში სამივე ქისტი დაეჭირათ ფშავლებს ქურდობაზედ, შეეკრათ ხელ-ფეხი და გამოეგზავნათ მაზრის უფროსთან. გზაზედ, 28 სექტემბერს, ღამე გაქცევა დაეპირებინათ და გადამხტარიყვნენ კიდეც მოსაფარში, მაგრამ მხლებლებს მოესწროთ რამდენიმე თოფის სროლა და ერთი იქვე მოეკლათ; მეორე დამალულიყო, ხოლო მესამე-კი მეორე დღეს დილით ხელებ შეკრული თავის თავად გამოცხადდა მაზრის უფროსთან, რომელმაც ჯეროვანი ზომები მიიღო გაქცეულ ქისტის შესაპყრობად და საქმის გამოსაძიებლად.

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მოქალაქეთა გამგეობისათვის განსაკუთრებული საქმის მწარმოებლობის ინსტრუქცია იქმნას შემუშავებული.

— წელს საარქეოლოგო ინსტიტუტში მიღებულ იქმნა სულ 71 კაცი. ამათ შორის ერთი ქალია.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ახლო მომავალში სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტში მოლაპარაკება ექმნებათ საბირჟო და სავაჭრო-სამანუფაქტურო კომიტეტების წარმომადგენელთ ქარხნებში სამკურნალო საქმის მოწყობის და უკეთ დაყენების შესახებ.

— სახელმწიფო საბჭოში შეტანილ იქმნა ახალი პროექტი თამასუქების შესახების წესდებისა. პროექტი შემუშავებულ იქმნა განსაკუთრებულ კომისიის მიერ, რომელსაც თავმჯდომარეობდა სასჯულო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბუტოვსკი.

— 26 სექტემბერს პეტერბურგში, ტავრიდის სასახლეში, გაიხსნა სრულიად რუსეთის მე-32 გამოფენა ბაღოსნობისა, გამართული რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების მიერ. გამოფენა რვა განყოფილებისაგან შესდგება. გამოფენაზედ სულ 700 ექსპონატია წარდგენილი.

— გადაწყვეტილ იქმნა, რომ კადეტთა კორპუსებში მოისპოს ყოველგვარი ეგზამენი, სწავლის დასამთავრებელ ეგზამენებს გარდა.

## უცხოეთი

**ავსტრია.** ახალს მინისტრ-პრეზიდენტს გრაფ კლარის პირველ ორ-სამ დღეს მოლაპარაკება ჰქონდა დასების წარმომადგენლებთან. პირველად ის დიდხანს ესაუბრა მემარცხენეთა წინამძღოლებს, და შემდეგ—მემარჯვენეთა ზოგიერთ ხელმძღვანელებს. რის შესახებ ჰქონდათ საუბარი, ჯერ საიდუმლოებას შეადგენს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მთავარ-მინისტრის უმთავრესს სალაპარაკო საგანს ვენის პარლამენტი შეადგენდა. მისთვის საჭიროა ეხლა დასების მეთაურები შეჰპირდნენ დახმარებას, რათა დელეგაციის წევრები დაუბრკოლებლივ აირჩიოს პარლამენტმა, რასაც ძლიერ არის მოწადინებული იმპერატორი ფრანც იოსები. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, კლარი დიდად უთუოდა მოწადინებული დაიყოლიოს მემარცხენენი, რომ ისინი თავს დაანებებდნენ ობსტრუქციას. რაც შეეხება მემარჯვენეთ, ის კრთობ თავაზიანად ექცევა პოლიაკებს, ხოლო ჩეხებისა, სამხრეთ სლავიანებისა და კათოლიკეთა დასის შესახებ ნაკლებად ზრუნავს თურმე. ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ ეხლანდელი კაბინეტი ლიბერალებზე არის დამყარებული და ქრისტიან სოციალისტები და კათოლიკეთა ეროვნული დასი ლიბერალურ პოლიტიკას შორს გაურბიან.

—

**იტალია.** კრისპის 80 წლის შესრულების დღე დიდის ამბით იდღესასწაულეს იტალიაში. იმ დღეს პალერმო ბაირაღებით იყო მორთული. ხალხი ძლიერ კარგს გუნებაზედ იყო. მრავალმა ქალაქმა და დაბამ ნდობა გარდიხადა; საღამოს სახლები და ქუჩები განათებული იყო, იტალიის ყველა კუთხიდგან, განსაკუთრებით სიცილიიდგან, მილოცვის დეპეშები მიუვიდა კრისპის. მეფე ჰუმბერტომაც მიულოცა დეპეშით, რომელშიაც მოხსენებული ჰქონდა ხანგრძლივი სამსახური კრისპისა იტალიის თავისუფლების და დამოუკიდებულობისადმი, მისი თავგანწირულება ეროვნული საქმისათვის და ერთგულება მეფისა. დედოფალმაც გაუგზავნა მისალოცი დეპეშა, გერმანიის იმპერატორის ვილჰელმისაგან გრძნობით აღსავსე დეპეშა მიუვიდა. სახლის დარბაზში წასვლის დროს, გზაში კრისპის მრავალ რიცხოვანი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა; ორკესტრები პატრიოტულ სიმღერებს უკრავდა. სახლის დარბაზში მიართვეს მას ადრესი და ოქროს მედალი. გარდა ამისა მიულოცეს ქალაქ პალერმოს მაგიერ. კრისპიმ მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და ყველას მადლობა გადაუხადა. სახლში დაბრუნების დროს ხალხი კიდევ თანაგრძნობით მიეგება გზაში და ბევრმა სიტყვა წარმოსთქვა.

კონტ-დემონსტრაცია, რომლის გამართვასაც აპირებდნენ იტალიის ყველა ქალაქში განსვენებულ კავალოტის პატივსაცემლად, აღკრძალა მთავრობამ. ამ გარემოებას იმით ხსნიან ოფიციოზური გაზეთები, რომ უკიდურეს დასებს განზრახული ჰქონდათ სახელმწიფოს სხვა და სხვა დაწესებულებას თავს დასხმოდნენ იმ დღეს, და მთავრობამ დროზედ გაიგო ესო.

—

**სერბია.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ნიკოლა პაშიჩი ალექსანდრე მეფეს სადილად მიუწვევია სასახლეში. მეორე დღეს პაშიჩი მილანთან ყოფილა სადილად. ეს გარემოება ძლიერ აკვირვებს პაშიჩის წინანდელ მომხრეებს და საზოგადოდ რადიკალებს. პაშიჩს მთავრობა სახელმწიფო ღალატს სწამებდა და სასამართლომ დიდი სასჯელიც გადაუწყვიტა. მეფემ მაპატია მას სასჯელი და ეხლა პაშიჩი პირველი მეგობარი გახდა მეფის გვარეულობისა.

სასამართლომ 15 წლით ბორკილ შეერიდი ციხეში ჯდომა გადაუწყვიტა 80 წლის მოხუცს—დეკანოზ მილივოზარაიკტაროვიჩს. ის საუკეთესო მეგობარი იყო მიტროპოლიტის მიხეილისა და დიდი მომხრე რუსეთისა. ზარაიკტაროვიჩს აბრალებდნენ, რომ მილანს შეურაცხება მიაყენაო.

## დამაკვირდი

რაც უფრო სქელია მამაკაცის ქისა, მით უფრო ადგზნებულია დედაკაცის მისდა მიმართი სიყვარული.

Z.

* * *

ჩვენს დროს მხოლოდ „დიპლომები“ არსებობს, აღზრდა კი მოდიდგან გადავარდა.

კარმენ სილვა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ახალმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს, ბანქოს თამაში პირველად აღმოსავლეთში, სახელდობრ ინდოეთში მოუგონიათ. ინდოელთაგან ბანქოს თამაში 1120 წელს ჩინელებმა გადაიღეს. ამავე დროს მოიგონეს იქ ჭადრაკიც. ბანქოს ინდოელნი და ჩინელნი სპილოს ძვლისაგან ამზადებდნენ. მე-XIV საუკუნეში ჯვაროსანთა ომების დროს ბანქო ევროპაშიაც შეიტანეს. წინად ბანქოში 78 ცალი ქაღალდი ითვლებოდა. მე-XV საუკუნეში ბანქო ძალიან იყო გავრცელებული ინგლისსა, იტალიასა და სიცილიაში. ესპანიაში ბანქოს ტყავისაგან ამზადებდნენ.

* * *

ამას წინად ახალგაზდა ნორვეგიელი მწერალი ქალი, ალმა კველდსეტი დანაძლევებია ერთ კაცს,—ნორვეგიიდგან პარიჟამდე ისე ჩავალ, რომ ერთს გროშს არ წავიღებ თანაო; ვიმოგზაურებ იმ ფულით, რომელსაც გზაში კორესპონდენციების შემწეობით ავიღებო. მწერალი ქალი 15 აგვისტოს შესდგომია გზას და რამდენისამე დღის შემდეგ დანიაში ჩასულა. უმეტესს ნაწილად კველდსეტი ფეხით მოგზაურობს თურმე. რამდენიმე უსიამოვნება კიდეც შემთხვევია ქალს გზაში. ერთხელ გზა დაჰკარგვია და ღამე სადღაც ტყეში მარტოდ-მარტოს გაუთევია. მეორედ ვიღაც კაცი აჰკვიატებია, რომელიც ძლივს მოუშორებია თავიდგან, ისიც დიდის ჯოხის წყალობით.

* * *

ამას წინად ბელგიაში ერთ კაცს მტრედი გაუყიდნია. ეს მტრედი რუსეთში წამოუყვანიათ. რამდენისამე დღის შემდეგ მტრედი ხელ-ახლა ბელგიაში თავისს წინანდელ პატრონთან მისულა. თუმცა რუსეთში პირველად ყოფილა, მაგრამ მტრედს მაინც გაუვლია 5,000 ვერსზედ მეტი და თავისი წინანდელი სამშობლო უპოვნია.

* * *

როგორც გაზეთები იუწყებიან, ამას წინად ინსბრუკში ცოცხალი ხარი დაუწვავთ. ხარს რაღაც ჭირი გასჩენოდა და გამუდმებით კვნესოდა თურმე. პატრონს ხარის ასეთი მდგომარეობა საეჭვოთ ჩაუთვლია და სოფლიდგან მცოდნე კაცები მოუწვევია იმის გამოსარკვევად, თუ რა სატკივარი აწუხებს ხარს. მიწვეულთ ერთხმად დაუდგენიათ, რომ ხარს ეშმაკი შესძრომია მუცელში და ის აკვნესებსო. ამის გამო გაუყვანიათ ხარი მინდორში, მიუბამთ ერთ მაგარს ბოძზედ და ცეცხლი წაუკიდებიათ. ხარმა, რასაკვირველია, ცეცხლით გამწვავებულმა, ბღა-

---

გან მიღებულნი არიან, მაგრამ ზნეობრივი და საზოგადოთ ინტელიგენტური არა აბადიათ რა. ისინი თავის პირუტყვულ ინტერესების დასაკმაყოფილებლად და კერძო ინტერესებისათვის გვერდით უდგებიან რიგიან კაცებს. ამ რიგიან კაცების უბედური თვისებაც ის არის, რომ იძმობენ ამისთანებს და არ ეზიზღებათ იმათი ახლოს ყოფნა, ოღონდ კი მათთან ლაქლაქი და ოხუნჯობა შეეძლებოდეთ. ამ გვარს კაცს ჩაუვარდა კასსა ხელში. წარმოდგენის შემდეგ მითქმა-მოთქმა გაიმართა. რამდენსამე კაცს სთხოვეს წარმოდგენაში მონაწილეთა, რომ ანგარიში ენახათ, ფული მოეთხოვათ. მოსთხოვეს დანიშნულ დროს ფულის წამღებსა, მაგრამ ძალიან ეჭვში იყვნენ, რომ ფული აღმოჩენილიყო. მოულოდნელად კი მოიტანა იმ კაცმა ცოტა რამ ნაკლებ. აიღეს ეს ფული ანგარიშებით დაბეჭდეს და სანდო საგულვებელ კაცს გარდასცეს. შემდეგ გამოჩნდა, რომ ფულის მომტანი ნანობდა, რა ეშმაკათ წავიღე ის ფულიო, რომელიც იმ საღამოსთვის ეთხოვნა.—ის შენახული ფული, როგორც მახსოვს 200 მანეთი, შემდეგ გადაეცა დრამატიულ კომიტეტს, რომელიც დრამატიულ საზოგადოების წესდების დამტკიცებამდის არსებობდა მუდმივ სცენის დაარსების დროს. ეს ფული იყო რაც კი დარჩა მოყვარეთა წარმოდგენებიდგან შეკრებილი სათეატრო შენობის ფონდისათვის.

რაც უნდა იყოს, წარმოდგენები ერთმანეთს მისდევდა და თან და თან ხშირდებოდა. შესდგა ჯგუფები მოთამაშეთა და მაყურებელთა. ნემეცების და კრუჟოკის კლუბის დარბაზები შეიქნა თავშესაფარი ქართულის წარმოდგენებისა და ხარჯი იმოდენა ჰქონდა თითო წარმოდგენას, რომ შუათანად ხარჯს ჰფარავდა და ცოტა რამ ძლივს გადარჩენილი საქველ-მოქმედო დაწესებულებას ეძლეოდა. საზოგადოებაში რამდენადმე ინტერესმა გამოიფხიზლა და საქველ მოქმედო წარმოდგენები იზიდავდა ზოგჯერ რუსებსაცა, რომელნიც მოდიოდნენ სანახავად, როგორც სეირის საყურებლად, ვნახოთ, რა არის ეს ქართული წარმოდგენაო?

საინტერესოთ ხდებოდა ქართული თეატრი იქიდგან, რომ არისტოკრატიის გვარის ქალებიც კი გამოდიოდნენ სახელმწიფო თეატრში საქველმოქმედო წარმოდგენაში. მაგალითად, გვახსოვს მშვენიერად მოწყობილი წარმოდგენა „მზის დაბნელებისა“, რომელსაც დაესწრო დიდი მთავარი ნამესტნიკი მიხეილი. პიესაში თამაშობდნენ ნინო ორბელიანისა, სოფიო ავალოვისა, კაცებისაგან ისეთები, რომელთაც სცენაზე გამოსვლა პირველი იყო.

საზოგადოთ 1877 და 1878 წლებში რამდენიმე ჯგუფი შედგა მოთამაშეთა, რომელთაგან ხან ერთი მართავდა სპექტაკლს, ხან მეორე და მოთამაშენი ერთის ჯგუფისანი მეორეში გადადიოდ გადმოდიოდნენ. მათში არაფერი სადაო არ ყოფილა, რომ წასცილებოდნენ ერთმანერთს, პირ იქით ეხმარებოდნენ კიდეც. იმათგან ბოლოს ორი ჯგუფის დასახელება შეიძლება: ერთი „დროების“ რედაქციის ახლო მდგომთ და მეორე ის, რომელიც ფოტოგრაფ ალექსანდრე როინაშვილთან შესდგა. პირველში იყვნენ ათის წლის განმავლობაში მომუშავენი და მეორეში უფრო ახალგაზრდა ყმაწვილი კაცები, სცენაზე ახლად გამოსვლის მსურველები ან ბოლოს ხანებში უკვე გამოსულები.

ამ მეორე ჯგუფის მონაწილეთ პირობა შეეკრათ ერთმანეთთან, რომ ხშირად ჰმართონ სპექტაკლები, შეიძინონ საჭირო ტანისამოსი და რეკვიზიტი, შეჰკრიბონ ფული და იმუშავონ, როგორც მუდმივი დასი მუშაობს. მაგრამ ყველას ამას ხელმძღვანელი ეჭირვებოდა. ხელმძღვანელი კი არ ჰყავდა და არც იქ მონაწილენი იყვნენ იმისთანები, რომ ხელობასავით გაეხადათ სცენის საქმე, როგორც მუდმივ სცენის არტისტები არიან.

საზოგადოდ თეატრს, როგორც სხვა ყოველ საქმეს, თუ ხელმძღვანელი, მუდამ თვალ ყურის მდევნელი და მზრუნველი არ ადგას, ვერ ხარობს, უშნოთ, უგულოთ და მოუწყობლად მიდის. ეს ხომ ერთია და მეორე საჭიროებაა, რომ მოთავეც თუ არის, შესაფერი მომზადება, ცოდნა საქმის წაყვანისა, პრაქტიკული მოსაზრება და თავისუფალი დრო ჰქონდეს მოსაქმეობისათვის; ამასთან, რასაკვირველია, სიყვარული საქმისა და შრომის მოყვარეობა აუცილებელი თვისებაა.

სამწუხაროდ ტფილისის ქართველ ოჯახებში დღევანდლამდე იშვიათია, რომ არა ვთქვათ, სულ არ არისო, ისეთი ოჯახი, რომელშიაც ერთი თაობიდამ მეორე თაობამდის გადადიოდეს ტრადიცია ხელოვნებითის ან სალიტერატურო მუშაობისა. ვერ იპოვით იმისთანა ახალ მოზარდ თაობას, რომ ყმაწვილობითვე მამა პაპისაგან ესწავლოს რამე სახელოვნო ან სალიტერატურო სფერისა. ეს ერთის მხრით საზოგადო ჩვენი ისტორიულის ცხოვრების ხასიათია და მეორეს მხრით ის გარემოებაა, რომ ტფილისის ქალაქში შეძლებული ინტელიგენტიური ოჯახები არ გვეპოვება, რომელნიც დიდის ხნიდამვე მკვიდრად ტფილისში სცხოვრებდნენ და შვილი შვილს გადასცემდნენ კულტურის თვისებებს, ინსტიქტებს და მოქალაქურ აღზრდას. ჩვენებურ ძველ ოჯახში რომ შევიდეთ, იქნება ვნახოთ მამა-პაპის ხმალ-ხანჯალი ან აზარფეშა, მაგრამ მამა-პაპის ბიბლიოთეკას, სამუზიკო საკრავს, ხელოვნურ მხატვრობას, სალიტერატურო ნაშრომს ვერ ნახავთ. თუ ყოფილა, დაკარგულა, ან დამწვარა; ახალ მოზარდში ვერ ნახავთ იმის ცოდნას, რაც მამა-პაპას გაუკეთებია. ყველა ეს უთაურობას წყლისთვის წაუღებინებია. აბა საიდამ იქნება აღზრდილი კაცი, რომ საქმის მოთავეობა შეეძლოს.

ეს ნაკლულევანება ჩვენებურ ყოველ გვარ საქმეში სჩანს. ჩვენ ძველთაგან ტფილისში მოსახლე ოჯახები შეძლებით და საზოგადო მდგომარეობით კარგა მოწყობილები ვერა ჰზრდიან ინტელიგენტ შთამომავლობას. ისე დაცემულნი არიან, რომ კულტურის გარეგანი შეხედულობის მეტი არა აქვსთ-რა. მათთვის არც ხელოვნება და ლიტერატურაა, არც საზოგადო საქმის სამსახური. საზოგადო სამსახური მათი ნიშნავს მეთვრალე მეგობრის ვექსილის ხელის მოწერას, ხელოვნება—ცხენებისა და ეკიპაჟების ყოლას, ლიტერატურა—ქაღალდის თამაშობას. მაგრამ ღირს კი

ვილი მორთო, გლეხები-კი გაიძახოდნენ თურმე, ხარი-კი არა, მუცელში დაბინავებული ეშმაკი ბღავისო.

* * *

ამ რამდენისამე თვის წინად ფეიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ლიუდვიგ კერნი შვეიცარიაში წასულა სამოგზაუროდ. პირველ ხანს შინაურებს კერნისაგან წერილები მოსდიოდათ, მაგრამ სამის თუ ოთხის დღის შემდეგ აღარც წერილი და აღარც სხვა რამ ცნობა აღარ მისვლიათ. უკანასკნელი წერილი ანდერმუტიდგან მისვლიათ. რამდენიმე თვე როგორც თვით ნათესავები, აგრეთვე დაქირავებული კაცები და პოლიცია გულმოდგინედ დაეძებდნენ თურმე დაკარგულ პროფესორს, მაგრამ ვერსად ეპოვნათ იგი და ვეღარც რამ გაეგოთ იმის შესახებ. მხოლოდ ეხლა უნახავთ პროფესორის გვამი ერთ ხიდ ქვეშ. ამ ამბავს დიდი ლაპარაკი გამოუწვევია. ჯერაც ვერ გამოუკვლევიათ, პროფესორი მოჰკლა ვინმემ, თუ თითონ მოიკლა თავი. ზოგი იმასაც ამბობს, რომ პროფესორი უცაბედად ხიდიდგან გადავარდა და მოკვდაო.

* * *

მოგეხსენებათ, ამერიკელს ტყუილად დროს დაკარგვა არ უყვარს. ზანტად საქმის გაკეთება და ნელა სიარული ამერიკელს დავთარში არ უწერია. იგი მუდამ დარბის, დაფუსფუსებს, მოძრაობს. კარგა ხანია ამერიკელები საყვედურს უცხადებენ მღვდლებს მიცვალებულის განსვენებისას ნელა მიდიან სასაფლაოზე და ტყუილად დროს გვაკარგვინებენო. ეხლა, როგორც იუწყებიან, ამერიკელებს აქაც თავისებური ხერხი გამოუგონიათ. ჩიკაგოში სამარხ ეტლის ნაცვლად თვით-მოსიარულე ეტლი შემოუღიათ; დასდებენ თურმე ამ ეტლზედ მიცვალებულს, უკან მღვდელს მოუსვამენ და ხელად სასაფლაოზედ ამააყოფინებენ თავს. მგლოვიარენიც ან ამავე ეტლით მისდევენ მიცვალებულს, ან კიდევ ველოსიპედებით. ამ რიგად დასაფლავებას სულ მეოთხედი საათიც არ უნდებიან თურმე.

## გამოსადეგი ცნობა

ნახვრხში მალიან სუფთად შრება დაწმენდილ-დარეცხილი დანა-ჩანგალი, კოვზები და ლითონის ჭურჭელი. ნახვრხიდგან ამოღების შემდეგ ის მტვერი, რომელიც ზედ ეძმნება, ტილოთი უნდა გადაიწმინდოს. ნახვრხში გამომშრალი ჭურჭელი უფრო გულთვის ახალსა ჰგავს. შუშეულობაც კარგად იწმინდება ნახვრხში.

იმათზედ ლაპარაკი? გაჭირვებაა, რომ გვალაპარაკებს.

ის მინდოდა მეთქვა, რომ ყოველ გაჭირვებულ საზოგადოებაში დიდი სამსახური შეუძლია შეძლებულ კაცს, რომელიც ლუკმა პურისთვის მუშაობისაგ ნ თავისუფალია, შეუძლია დრო შესწიროს საზოგადო საქმეს და მოთაველობა გაუწიოს, თუ-კი მომზადებულია აღზრდით, განათლებითა და სიყვარულით. ჩვენის თეატრის საქმე 1870 წლის მიწურულებში მოყვარეთა მეცადინეობით წინ წავიდა, გამოჩნდა სასცენო რამდენიმე ნიჭი, საზოგადოებაში სცენის ინტერესი გაფხიზლდა, მოთამაშეთა ჯგუფები შესდგა, მაგრამ მათ მოთავე აკლდა, რომელსაც შესძლებოდა ხელმძღვანელობა. ყველაფერი თითქოს მზად იყო, რომ სამუდამო სცენას საფუძველი დასდებოდა. მხოლოდ მოთავე იყო საჭირო იმისთანა, რომელსაც მომზადებული აღზრდა ჰქონოდა და მოცალეობა, რომ დრო შეეწირა მის მუშაობისათვის.

ქართულის სცენის საბედნიეროდ ამ გვარი კაცი გამოჩნდა ბატონი გიორგი თუმანიშვილი, რომელმაც იკისრა 1879 წელს ხელმძღვანელობა ერთის ჯგუფისა.

პეტრე უმიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 სექტემბერი

**პრეტორია.** თითქმის ყველა აფრიკანდერები—ნემენცები, ფრანგები, ბელგიელები, შვედები, ნორვეგიელნი, დანიელნი, იტალიელნი, ჰოლანდიელნი, შვეიცარიელნი და ამერიკელნი, საზღვარზედ წავიდნენ ტრანსვაალის თავისუფლებისათვის საბრძოლველად. ინგლისის ქვეშევრდომებმაც ფიცი მიიღეს ერთგულება გაუწიონ ტრანსვაალს. მრავალი დეპეშები მისდის მთავრობას ბანაკებიდგან; ყველანი იმედს აცხადებენ, უეჭველად გავიმარჯვებთო.

**კაპშტადტი.** „Jouth Atr. Nevs“-ში დაბეჭდილია დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ გენერალმა ჟუბერმა უბრძანა ბურების რაზმებს მოემზადნენ ბრძოლაში გასასვლელადაო.

**ლონდონი.** დილის გაზეთები ცუდად იხსენიებენ ტრანსვაალის ულტიმატუმს, რომელიც, მათის აზრით, უბრძანებს ინგლისს, შენს ახალშენებში ამდენი და ამდენი ჯარი იყოლიეო.

„Times“-სი ამბობს, ასეთი ულტიმატუმი ძლიერ სახელმწიფოს რომ წარმოედგინა, ინგლისი დაუყოვნებლივ ომში გამოიწვევდაო. ტრანსვაალის მთავრობამ არ მოუცადა ინგლისის უკანასკნელ სიტყვას, მაშ თვითვე ინანოს, რაც შედეგი მოჰყვება ამას. იმათ ომი გამოუცხადეს ინგლისს და ამისთვის სასჯელს ვერ ასცდებიან.

**პარიჟი.** „Figaro“ იუწყება, რომ უმაღლეს სასამართლოს საგამომძიებლო კომისიამ გაანთავისუფლა შევალიე, ხოლო მონიკურის განთავისუფლებაზედ უარი განაცხადაო.

**ლონდონი.** „Daily Telegraph“-ს ატყობინებენ ლედი-სმიტიდგან, რომ ომი დაიწყოო. ბურები ნატალში შევიდნენ. ორანჟის რესპუბლიკის ბურგერებმა შეაჩერეს გარრი-სმიტში ნატალის მთავრობის მატარებელი. „Times“-ის კორესპონდენტმა, მთავარ სარდლის ჟუბერის ნება-რთვით, დაათვალიერა ლონდსპრუიტში დაბანაკებული ბურების ჯარი. ამ ადგილას ტრანსვაალის 8,000 ჯარის-კაცია, დიდს მანძილზედ გაფანტული. ბურების გარდა იქვეა ერთი რაზმი ჰოლანდიელთა, ერთი ირლანდიელთა და ორი გერმანელთა. ჰოლანდიელთა და ირლანდიელთა რაზმები შესდგებიან თვითო 250 კაცისაგან. გერმანელთა ერთ რაზმს უფროსობს პოლკოვნიკი შილი. როგორც „რეიტერის სააგენტოს“ მეფკინგიდგან ატყობინებენ, კაი ძალი ინგლისის ჯარისა დღეს დილით გასულა ქალაქიდგან და გამგზავრებულა საზღვარისაკენ.

საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ ბურებმა გუშინ საღამოთი, იმ დროს, როდესაც ულტიმატუმში აღნიშნული ვადა გავიდა, დაიჭირეს ლენგო-ნეკი, შევიდნენ ნატალში და ინგოგოს სიმაღლეები ჩაიგდეს ხელთაო.

პირველი დივიზიის მეორე ბრიგადა 20 ოქტომბერს საუტგამპტონიდგან წავა სამხრეთ აფრიკაშიო.

**პარიჟი.** მოსამართლე გროჟანი უდანაშაულოდ იქმნა ცნობილი. გროჟანმა დუელში გამოიწვია მთავარი სარდალი მელკოტი, რომლის წყალობით უმაღლესმა სასამართლომ გროჟანი დაიბარა.

**სოფია.** სამინისტრო კრიზის ჯერ კიდევ არ მოჰღებია ბოლო, მთავარმა ფერდინანდმა დღეს მიიღო გრეკოვი, როდოსლავოვი და ივანჩევი.

**ვენა.** ბოსნიელმა სტუდენტებმა ფინანსთა სამინისტროს წინაშე დემონსტრაცია გამართეს. ეს დემონსტრაცია კალლაის წინააღმდეგ იქმნა გამართული. პოლიციამ რამდენიმე კაცი დააპატიმრა. მიზეზი დემონსტრაციისა ის იყო, რომ ბოსნიელ სტუდენტთათვის საზოგადო საცხოვრებელი იქმნა გამართული.

**ნიუ-იორკი.** კრიუგერმა „World“-ის რედაქციას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გულ-წრფელს მადლობას უცხადებს ამერიკელ მეგობართ ტრანსვაალის თანაგრძნობისათვის. „ინგლისის აგენტი,—ამბობს შემდეგ დეპეშაში კრიუგერი,—გაწვეულ იქმნა, ამიტომ ომი აუცილებელია. თუ ვინიცობაა ორივე რესპუბლიკა ინგლისს ჩაუვარდა ხელში, იქ მცხოვრებნი ამისათვის ისეთს სამაგიეროს გადაახდევინებენ ინგლისს, რომელიც მთელს ქვეყანას გააკვირვებს. თუმც-კი ორივე რესპუბლიკას იმედი აქვს, რომ სამხრეთი აფრიკა ისეთსავე თავისუფლებას მოიპოვებს, როგორც ჩრდილოეთ ამერიკამ მოიპოვაო.“

კარნეჯი ჰოლში დიდი ყრილობა მოხდა, რომელზედაც რამდენიმე სიტყვა წარმოთქვეს და თავისი მწუხარება განაცხადეს ინგლისის ყოფაქცევის გამო. ამასთან თანაგრძნობა გამოუცხადეს პრეზიდენტს კრიუგერს.

1 ოქტომბერი

**პრეტორია.** ინგლისის აგენტი გრინი დღეს გამოეთხოვა, როგორც კერძო კაცი, კრიუგერს და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენელთ. ხვალ გრინი და იმის მოხელენი სასანგებო მატარებლით მიდიან პრეტორიიდგან.

**კაპშტადტი.** ტელეგრაფის მავთული მეფკინგიდგან 40 მილის სიშორეზედ გასწყვიტეს.

**ფრეიბურგი.** გუშინ, საღამოთი, ბურების რაზმმა დაანგრია საზღვრის გალავანი, შემდეგ რაზმი რკინის გზისაკენ გაემართა, დასჭრა სატელეგრაფო მავთული. რკინის გზის ლიანდაგი დაიჭირა ჯარმა, რომელიც 2000 ბურისაგან შესდგება.

**დურბანი.** ბურებმა დაიჭირეს სადგური ალბერტინა, რომელიც ნატალის რკინის გზას ეკუთვნის. აღელვება ლედისმიტში ძლიერდება. ჯარი წასასვლელად ემზადება, ბრძანებას და ელის მხოლოდ.

**ამსტერდამი.** ბატავიიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ კუნძულ სერამის სამხრეთ მხარეს მდებარე ქალაქი მაგეი მიწის ძვრამ სრულიად დაანგრია. დაიღუპა 4,000, დაშავდა 500 კაცი.

**ლონდონი.** ჩემბერლენის დეპეშა ტრანსვაალის ულტიმატუმის საპასუხოდ გაგზავნილი, შემდეგს იუწყება: „მისის უდიდებულესობის დედოფლის მთავრობამ, თავისდა სამწუხაროდ, მიიღო მოთხოვნილებანი ტრანსვაალის მთავრობისა. ულტიმატუმში აღნიშნული პირობანი ისეთია, რომ მისის უდიდებულესობის მთავრობა შეუძლებელადა სცნობს იმათს განხილვას.“

**პარიჟი.** სასამართლომ გარდაუწყვიტა ორის თვით ციხეში დაპატიმრება სებასტიან ფორს, 20 აგვისტოს მომხდარ მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღებისათვის რესპუბლიკის მოედანზედ. ტიურმანს და დიუ ჟარდენს, რომელთაც პოლიციის კომისარი დასჭრეს დე-ბულეს ქუჩაში, სასამართლომ გარდაუწყვიტა ერთის წლით დაპატიმრება ციხეში.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** დღეს, ლამით, დიდი ქარის დროს, გემი „დიმიტრი“ დეეტაკა გემის „კომმერსანტი“-ის ნავს. გემს „დიმიტრი“-ზედ დაიმტვრა რამდენიმე ოთახი. მგზავრთა ნაწილი დაიღუპა.

**ეკატერინესლავი.** დღეს გახსნეს და აკურთხეს ეკატერინესლავის უმაღლესი სამთო სასწავლებელი.

**კაპშტადტი.** ორანჟის რესპუბლიკის საზღვარზედ ბურებმა მოისურვეს ბაზუტოსების თავისაკენ გადაბირება, მაგრამ ამ უკანასკნელთა მთავარმა მამასახლისმა დაარწმუნა ინგლისისის მთავრობა, რომ მხარს არ დაუჭერთ ბურებსაო. მეფკინგში მცხოვრებელნი სულ ერთიან თოფებით შეიარაღდნენ, როგორც ამბობენ, მახლობლად დაბანაკებულ ბურებს 12 ზარბაზანი აქვთ.

**დურბანი.** საზოგადო საშუშაოთა სამინისტრომ დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ ძლიერი რაზმი ბურებისა ლენგსნეკით ნატალში შევიდაო.

**ლორენცო მარკეზი.** მატარებლებით მოვიდა აქ 10,000 კაფრი, რომელნიც ქალაქის გარემო დაბანაკდნენ. უკვე დაიქირავეს გემები, რომლებითაც კაფრები ლიმპოპოში იქმნებიან გაგზავნილნი.

1 ოქტომბერი

**ლონდონი.** ბლემფონტენიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ პრეზიდენტმა შტეინმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ურჩევს ორანჟის რესპუბლიკის მოქალაქეთ დახმარება აღმოუჩინონ უსინიდისო მოპირდაპირის წინააღმდეგ ბრძოლაში. ღმერთი უშველის ბურებსაო, ამბობს შტეინი.

**ლონდონი.** იუწყებიან დეპეშით კაპშტადტიდგან, რომ მეფკინის სამხრეთით ბურებმა მატარებელი ააფეთქეს. მოკლულ იქმნა 15 ინგლისელი ჯარის-კაცი.

## „ივერიის“ ფოსტა.

**მ. ლ. რო—ძეს.** ლექსი „ბედის მოძღურავი“ არ დაიბეჭდება.

**მეძს.** არ დაიბეჭდება.

**ვ. ი. მ—იანს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. გ—იას.** არ დაიბეჭდება.

**ს. გ—ციხე. თ. დ. ჩ—შვილს.** ეს ამბავი უკვე გვქონდა დაბეჭდილი.

**მთიულ გლეხს.** არ დაიბეჭდება.

**ვ. რ—ძეს.** ლექსები „მეგობარს“ და „მუშის მოთქმა“ არ დაიბეჭდება.

**მ. გ—ს.** არ დაიბეჭდება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მიიღო 1899 წლის ენკენისთვის განმავლობაში:

1) საწევრო ფული:

1, გიორგი ნიკოლოზის ძის სალარიძისაგან (ნაწილი) 3 მან., 2, მარიამ მიხეილის ასულის სალარიძისაგან (ნაწილი) 3 მ. სულ 6 მან.

2) შემოწირულება წიგნებად და ძველ ფულებად:

1, ორი ძველი სპილენძის ფული ალექსანდრე ზალდასტანოვისაგან; 2, ორი სპილენძის ფული ოსმალური ისაკ ოქროპირის ძის ბახტაძისაგან; 3, ერთი ძველი სპილენძის ფული თ. ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძისაგან; 4, ერთი ძველი ვერცხლის ფული ვერა მიქაბერიძისაგან; 5, ორი ძველი ხელთ-ნაწერი ეკატირინე ანდრიას ასულის სულთანოვისაგან.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

# განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და საატფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. საატფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის საატფთექო მაღაზიაში.

(100—150—13)

## ქართული წერის რვეულები

(ახალი გამოცემა)

„დედა-ენასთან“ სახმარებელი, დაიბეჭდა ახლად საუკეთესო ქაღალდზე და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი ოთხი კაპეიკი. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ასობით, იმას თითო რვეული მიეცემა $3^3/_4$ კაპეიკად; ხოლო ვინც ხუთასობით იყიდის, თითო რვეული დაეთმობა სამ კაპეიკ ნახევრად $3^1/_2$ კაპ. (6—2)